საქართველოს პარლამენტი

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

თბილისი, 0118, რუსთაველის გამზ. 8.
ტელ: 28 16 44
ფაქსი: 92 24 09

№ 28249
„24" 12 2009 წ.

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის
საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის წევრის მირზა დავითაიას პარლამენტის
წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა მიმდინარე წლის 24 დეკემბერს კომიტეტის სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრის მირზა დავითაიას პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი მის მიერ პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობაზე დანიშვნის გამო. დადასტურდა, რომ ბატონი მირზა დავითაია საქართველოს პრემიერ-მინისტრის №359 ბრძანებით დაინიშნა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომიტეტს მიაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს პარლამენტის წევრს მირზა დავითაიას შეუწყდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

კომიტეტის თავმჯდომარე

ხათუნა გოგორიშვილი